



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნიკა ჩიტაძე, პროფესორი დოქტორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი ტელ: +995 32 259 50 05/06/07 (შიდა ნომერი 134) მობ.: +995 577 465 300, ელ-ფოსტა: nchitadze@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	180 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი 0702 (Doctor of Political Sciences)
დაშვების წინაპირობები	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დონის გამოცდა შსსუ-ში. ამასთან, საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი (დაახლოებით 2,000-2,500 სიტყვის მოცულობით; შეფასების რუბრიკისთვის იხილეთ დანართი) მისი სამომავლო კვლევის სფეროში. საკვლევი თემის პროექტს აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 (სამი) სადისერტაციო საბჭოს წევრისაგან (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით). პროგრამაზე დასაშვები სტუდენტების რაოდენობა არის მაქსიმუმ 10 სტუდენტი ყოველწლიურად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა სამ ძირითად მიზანს ისახავს. პროგრამის პირველი მიზანია სტუდენტებს მისცეს უახლეს მიღწევებზე დამყარებული კომპლექსური თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების არსის შესახებ და სიღრმისეულად გააცნოს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის როგორც ტრადიციული, ისე უმთავრესი თანამედროვე თეორიული მიდგომები. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ჩაუღრმავდნენ დისციპლინის ფუძემდებლურ ცნებებს. სწავლების კომპონენტის ფოკუსი დისციპლინის თეორიულ ასპექტებზე სტუდენტებს აჩვენებს, საერთაშორისო ურთიერთობების აღქმის ცვლილებას, თეორიული დაშვებებისა და ვარაუდების ცვლილებასთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის შემდგომ განვითარებას, მათი მხრიდან არსებული ცოდნის გააზრებისა და გადაფასების მიზნით. პროგრამის მეორე მიზანია, სტუდენტებს განუვითაროს კვლევისა და სწავლების პრაქტიკული უნარები. ამ მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის თეორიული ასპექტები წარმოდგენილია პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში, რითიც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თანამედროვე კვლევების მიღწევებს და შეიძინონ ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში, კვლევისა და სწავლების პროცესში, დამოუკიდებლად, აქტიურად და ინოვაციურად გამოყენების უნარები. პროგრამის მესამე მიზანს წარმოადგენს, სტუდენტებს განუვითაროს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ეთიკური პრინციპები და მათზე დაფუძნებული ფასეულობა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია როგორც კვლევისა და ანალიზის, ისე სწავლების პროცესში. საბოლოო ჯამში, პროგრამა აღნიშნული სამი მიზნის მეშვეობით მიზნად ისახავს აღზარდოს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარების ახალი თაობა, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკულად და ანალიტიკურად აზროვნება, დისციპლინაში არსებული მეთოდოლოგიური პრობლემების ინოვაციური გზების მეშვეობით გადაჭრა და ამ პროცესში ეთიკის პრინციპების დაცვა.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ცოდნა და გაცნობიერება აქვს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ურთიერთობების დარგის, როგორც აკადემიური დისციპლინისა და სოციალური მეცნიერებების ნაწილის, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; • საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ონთოლოგიური და ეპისტემოლოგიური გამოწვევების სრული გაცნობიერება; • საერთაშორისო ურთიერთობების ჭრადიციული და
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეარჩიოს ახლებური საკვლევი თემა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, დასვას პრობლემური საკვლევი შეკითხვა, შეიმუშავოს ორიგინალური ჰიპოთეზა და მის ირგვლივ განახორციელოს ლიტერატურისა და სხვა მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შემდეგ კი მოახდინოს ჰიპოთეზის დადასტურება (ვერიფიკაცია) ან უარყოფა; • გამოიყენოს კვლევით პროექტში სათანადო თეორიული ჩარჩო;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული და თანამედროვე მოვლენების ანალიზი სიღრმისეულ ცოდნაზე დამყარებული შესაბამისი თეორიული მიდგომებისა და ინოვაციური მეთოდების მეშვეობით; • მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ანალიტიკური, კვლევაზე დაფუძნებული მოხსენებები, ნაშრომები და პუბლიკაციები საერთაშორისო კონფერენციებზე და საერთაშორისო რეფერირებად აკადემიურ ჟურნალებში მათ შესაბამის სტანდარტების დონეზე წარსადგენად; • დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს უნივერსიტეტში ლექციები, შეაფასოს სტუდენტების სწავლის შედეგები, უხელმძღვანელოს სტუდენტების კვლევის ჩატარების პროცესს. 	
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრიტიკულად შეაფასოს ტრადიციული და თანამედროვე თეორიული პარადიგმები და გააკეთოს დასკვნები, თუ რამდენად სასარგებლო

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p> <p>ინსტრუმენტია თითოეული მათგანი საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისთვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთმანეთს შეადაროს და დაუპირისპიროს საერთაშორისო ურთიერთობების გაგების სხვადასხვა თეორიები და შეაფასოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; • კრიტიკულად შეაფასოს ერთი და იმავე კონცეპტის სხვადასხვა თეორიული ხედვა და გააკეთოს დასკვნები მათ შორის განსხვავებუბისა და მსგავსებების მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისთვის; • კრიტიკულად გააანალიზოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამეცნიერო ლიტერატურა, მას-მედიიდან მიღებული ინფორმაცია და მათზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება და გადაჭრას რთული პრობლემები; • შეარჩიოს დამოუკიდებელი კვლევისთვის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ოპტიმალური მეთოდები და შეაფასოს ამ მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენების 	
--	--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დადებითი და უარყოფითი მხარეები;</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის პროცესში შეგროვებული პირველადი და მეორეული მონაცემების ანალიზისა და სინთეზის შედეგად მიღებული ახალი ცოდნის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნა, ერთმანეთს შეუპირისპიროს ძველი და ახალი იდეები და კრიტიკულად შეაფასოს წინააღმდეგობები; • მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით გააანალიზოს და დახვეწოს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში არსებული სწავლების მეთოდები, გადაჭრას სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და შეიმუშავოს ახალი მეთოდოლოგია სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად. 	
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად ჩაერთოს კონსტრუქციულ თეორიულ დებატებში კოლეგებთან და გამოცდილ მკვლევარებთან ჯეროვნად აგებული

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>არგუმენტების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორც წერით, ისე სიტყვიერად სწორად და თანმიმდევრულად მოახდინოს რთული თეორიული კონსტრუქტების კომუნიკაცია იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს, ნათელი და გასაგები, სამეცნიერო ჟარგონისგან თავისუფალი ენის გამოყენების მეშვეობით; • წარადგინოს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენტაციის სახით საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე კონფერენციაზე, გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირებს, წარმართოს პროფესიული წერილობითი ურთიერთობა; • საკუთარი აზრის ეფექტურად მიტანა მსმენელამდე, მისი წარმოდგენა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. 	
	<p>სწავლის შეუძლია უახლეს უნარი მიღწევებზე</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.</p> <ul style="list-style-type: none"> • სწორი მიმართულებებით განსაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სწავლის პრიორიტეტები და კვლევის პროცესი; • სოციალურ მეცნიერებებსა და კერძოდ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს კვლევისა და განხორციელებისთვის შეარჩიოს და დაგეგმოს კვლევის პროცესში ჩართვისა და განხორციელებისათვის საჭირო რესურსები; • გამოავლინოს კრიტიკულად თვით და ურთიერთშეფასების უნარი; • საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, დაადგინოს სწავლება/სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობები და დანერგოს და განავითაროს ინოვაციური იდეები. 	
<p>ღირებულე ბები</p>	<p>შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</p> <p>კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სრულად ესმის საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ტრადიციული და თანამედროვე თეორიული მიდგომების 	

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ნორმატიული ასპექტები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის განვითარების თვალსაზრისით;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ერთმანეთს დაუპირისპიროს ისეთი იდეები და ცნებები, როგორებიცაა რაციონალობა და პრაგმატიზმი, თანამშრომლობა და კოლექტიური უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება და ინტერესები, ძალაუფლება და თანასწორობა და შეუძლია მორალურად გამართლებული პოზიციის ჩამოყალიბება; • გათავისებული აქვს სოციალური კვლევის ეთიკური ნორმები და შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკის კვლევის პროცესში წარმოქმნილი ეთიკური დილემების ინოვაციური მეთოდებით გადაჭრის გზების კვლევა და მათი დამკვიდრებისთვის საჭირო მეთოდების შემუშავება.
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>შეფასების ფორმატა:</p> <p>სემინარზე აქტიურობა</p> <p>წერიითი საშინაო დავალება</p> <p>ანალიტიკური ესე</p> <p>პრეზენტაცია</p> <p>სტატიები</p> <p>ჯგუფური პროექტი</p> <p>საკურსო ნაშრომი (შემთხვევის ანალიზი)</p> <p>წერილობითი ანგარიშის წარდგენა</p> <p>შუალედური და დასკვნითი გამოცდა, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ღია, დახურული და კომპინირებული ტიპის შეკითხვებს და აკადემიურ ესეს.</p> <p>სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს თანმიმდევრულობა, დისკუსიაში ჩართულობა, მსჯელობის ლოგიკურობა, პასუხის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული მაგალითების ადეკვატურობა, ტერმინოლოგიის გამოყენების ადეკვატურობა, აკადემიური ნაშრომის შექმნის ხარისხი, პრეზენტაცია,</p> <p>დისერტაციის სათაურისა და კვლევის გეგმის დამტკიცება ხდება მას შემდეგ, რაც დოქტორანტი დაასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტს. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 ECTS-ს და თანაბრად არის გადანაწილებული ოთხ სემესტრზე. დისერტაციის დაცვაზე კანდიდატის წარდგენამდე დოქტორანტმა უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი. პირველ ეტაპზე აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა მოამზადოს დასკვნა</p>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

დისერტაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნა არის დადებითი, დისერტაცია ეგზავნებათ შხსუ-ის ორ შიდა ექსპერტს, რომლებსაც არჩევს ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭო. შიდა ექსპერტებმა უნდა დაწერონ რეცენზია (ერთი თვის განმავლობაში) სამი შესაძლო შეფასებით. ექსპერტმა შეიძლება, რეკომენდაცია გაუწიოს დისერტაციას, რომ მოხდეს ნაშრომის წინასწარ დაცვაზე წარდგენა, რეკომენდაცია გაუწიოს ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, ან არ გაუწიოს რეკომენდაცია. მომდევნო ეტაპზე ეწყობა წინასწარი დაცვა, რომლის კომისიაშიც შედიან აღნიშნული შიდა ექსპერტები და დამატებით ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრები. წინასწარი დაცვის დროს განიხილება შიდა ექსპერტების მიერ მომზადებული რეცენზიები სტუდენტის პრეზენტაციის შემდეგ. შედეგად, შესაძლოა, დისერტაცია გადავიდეს დაცვის ეტაპზე შენიშვნების გარეშე, შენიშვნების გათვალისწინებით ან არ გაეწიოს რეკომენდაცია შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. რეკომენდაციის შემთხვევაში, ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭო შეარჩევს ორ ოპონენტს (რომლებმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა წაიკითხონ დისერტაცია) დოქტორანტისთვის ოპონირების გასაწევად. ასევე სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, შეირჩეს ერთი საერთაშორისო ექსპერტი მესამე ოპონენტად. ოპონენტები და ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრები ერთობლივად ქმნიან 5, 7 ან 9 წევრისგან შემდგარ ჟიურის, რომლის წინაშეც წარსდგება დოქტორანტი დისერტაციის დასაცავად. ჟიურის შეფასება არის დისერტაციის შეფასების 100 ქულა.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, შიდა ექსპერტების და ოპონენტების მიერ დისერტაციის დაცვის რუბრიკა

შენიშვნა: ხელმძღვანელი, შიდა ექსპერტები და ოპონენტები დისერტაციას არ უწერენ ქულას. ცხრილში მოცემული თითოეული კომპონენტის წონას გააჩნია საორიენტაციო ხასიათი, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება და რომელ კომპონენტს რა ფარდობითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დისერტაციის შეფასებისას.

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	კომპონენტის წონა საბოლოო შეფასებაში
თემატიკა და საკვლევი	15-13 ქულა – ნაშრომის თემატიკა მეტად მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო	15 ქულა



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>პრობლემის განსაზღვრა</p>	<p>ურთიერთობების შესწავლისა და განვითარებისათვის. დასმულია მეტად ორიგინალური და აქტუალური საკვლევო პრობლემა. კვლევის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, საკვლევო კითხვა, ჰიპოთეზა და შესაბამისი არგუმენტი სიახლეს წარმოადგენს დარგში და ნათლად არის ჩამოყალიბებული; საკვლევო ობიექტები დაკონკრეტებულია, ნათლად იკვეთება ცვლადები, რომელთა კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია სრულყოფილადაა შესრულებული.</p> <p>12-10 – ნაშრომის თემატიკა დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება. საკვლევო პრობლემაც ორიგინალური და აქტუალურია. კვლევის მიზანი ჩამოყალიბებულია. საკვლევ კითხვას და ჰიპოთეზას და შესაბამის არგუმენტს აქვს დარგში სიახლის მაღალი პოტენციალი და არის ნათლად ჩამოყალიბებული, თუმცა შეიმჩნევა მცირეოდენი ხარვეზები. საკვლევო ობიექტი დაკონკრეტებულია. ცვლადები არ არის სრულყოფილად გამოკვეთილი და კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია არ არის ნათელი;</p> <p>9-7 – ნაშრომის თემატიკა მეტწილად დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება, მაგრამ საკვლევო პრობლემა არ არის ორიგინალური ან აქტუალური, კვლევის მიზანი, კითხვა, ჰიპოთეზა და არგუმენტი ბუნდოვანია და დარგში სიახლის ნაკლები პოტენციალი გააჩნია; საკვლევო ობიექტები დაკონკრეტებული არ არის. ცვლადები ნათლად არ იკვეთება, რომელთა კონცეპტუალიზაციისა და/ან ოპერაციონალიზაციის მცდელობა არასრულია.</p> <p>6-4 – ნაშრომის თემატიკა მეტწილად დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ნაკლებად ეხება, საკვლევო პრობლემა არ არის ორიგინალური ან აქტუალური, კვლევის მიზანი, კითხვა, ჰიპოთეზა და არგუმენტი ბუნდოვანია და დარგში</p>	
--	-----------------------------	--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>სიახლის ნაკლები პოტენციალი გააჩნია; საკვლევო ობიექტები ბუნდოვანია. ცვლადები ნათლად არ იკვეთება, რომელთა კონცეპტუალიზაციისა და/ან ოპერაციონალიზაციის მცდელობა არასრულია.</p> <p>3-1 – ნაშრომის თემატიკა დარგის გააზრებულ და ნაკვლევ საკითხებს არ ეხება, კვლევის მიზანი, კითხვა და ჰიპოთეზა ნაშრომში არ იკვეთება, ცვლადები არ ჩანს და საკვლევო ობიექტებიც არ არის დაკონკრეტებული.</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>ლიტერატურის მიმოხილვა</p>	<p>25-23 ქულა – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო აკადემიური ლიტერატურა, ავტორი სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს თემის შესახებ და კრიტიკულად ანალიზებს გამოყენებულ მასალებს, ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ნაშრომის თეორიული წვილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში;</p> <p>22-19 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო ლიტერატურა, ავტორი თითქმის სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს თემის შესახებ და გამოირჩევა კრიტიკული ანალიზით, ნათლად არის ნაჩვენები ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში;</p> <p>18-15 – ნაშრომში გამოყენებულია როგორც აკადემიური, ისე სხვა სახის ლიტერატურა, რაც ლიტერატურის მიმოხილვისთვის ნაკლებად რელევანტურია, ავტორი ავლენს აკადემიური დებატების კარგ ცოდნას, კრიტიკული ანალიზი დასახვეწია, ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში არ არის ჯეროვანი.</p> <p>14-11 – ნაშრომში გამოყენებულია აკადემიური ლიტერატურა, მაგრამ ამავდროულად მოცემულია არაკადემიური ტექსტები, რაც ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნას სუსტად ავლენს,</p>	<p>25 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები, ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში არ არის ნათელი;</p> <p>10-7 – ნაშრომი დიდწილად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, თუმცა გვხვდება აკადემიური ტექსტებიც, აკადემიური დებატების ცოდნა არ ვლინდება ავტორის მიერ, ლიტერატურა უბრალოდ შეჯამებულია და არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ნაშრომში არ გვხვდება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში თეორიული კონტრიბუციის მიმოხილვა;</p> <p>6-4 – ნაშრომი მთლიანად არაკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, რაც ვერ ავლენს ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნის ხარისხს, კრიტიკული ანალიზი არ გვხვდება, ნაშრომში არ არის მოცემული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში თეორიული წვლილის მიმოხილვა;</p> <p>3-1 – ნაშრომში გამოყენებულია ნაკლებად სანდო ლიტერატურა, ავტორი ვერ ავლენს აკადემიური დებატების ცოდნას, ნაშრომში მხოლოდ მასალების შეჯამებას წარმოადგენს. არ აღინიშნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში თეორიული წვლილი.</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>კვლევის მეთოდოლოგია</p>	<p>25-23 ქულა – ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური და შესატყვისი კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან. ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, განხილულია ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ავტორს გათავისებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ავტორს ნაწარმოები აქვს თავისთავადი კვლევა.</p> <p>22-19 – ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის</p>	<p>25 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მიზნიდან. ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა სრულად არ არის განხილული ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ავტორს გათავისებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ავტორს მეტწილად ნაწარმოები აქვს თავისთავადი კვლევა.</p> <p>18-15 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს ნაწილობრივ აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია. ამასთან, ავტორს ნაწილობრივ აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p> <p>14-11 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს ნაწილობრივ აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია. ამასთან, ავტორს ნაწილობრივ აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p> <p>10-7 – ნაშრომში გამოყენებულია არასათანადო კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს სუსტად აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია და სუსტად აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p> <p>6-4 – ნაშრომში არ იკვეთება მონაცემთა შეგროვების რა მეთოდები გამოიყენა ავტორმა.</p> <p>3-1 – ნაშრომი თითქმის არ იყენებს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს</p>	
--	--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>მონაცემთა შეგროვებისა და მათი ანალიზისთვის; 0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>მონაცემთა ანალიზი / არგუმენტაცი ა</p>	<p>25-23 ქულა - მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლესა და მის წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური მიდგომის მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. ავტორი კრიტიკულად აანალიზებს წყაროებს და იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>22-19 – მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლესა და მის წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური მიდგომის მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა ხარვეზები. ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>18-15 – მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში მისი წვლილი ბუნდოვანია. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>14-11 – მონაცემების ანალიზი არასათანადოდ წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს და საერთაშორისო</p>	<p>25 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>ურთიერთობების დარგის განვითარებაში მისი წვლილი ბუნდოვანია. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები.</p> <p>10-7 – მონაცემების ანალიზი არასათანადოდ წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში მისი წვლილი არ არის ნათელი. მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თითქმის არ გვხვდება კრიტიკული, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები.</p> <p>6-4 – მონაცემების ანალიზი ვერ წარმოაჩენს სიახლეს და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე მისი კონტრიბუცია არ არის ნათელი, მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. არ არის მოცემული კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები;</p> <p>3-1 – ნაშრომში არ გვხვდება სიახლე, მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. არ არის მოცემული კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირება;</p> <p>0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
	დასკვნა	5 ქულა - ავტორი ეფექტიანად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში	5 ქულა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს. ნათლად წარმოაჩენს ნაშრომის ორიგინალობასა და მის წვლილს დარგის განვითარებაში;</p> <p>4-3 – ავტორი ეფექტიანად და ლაკონურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, თუმცა ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია;</p> <p>2-1 – ავტორი ეფექტიანად და ლაკონურად ვერ აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს. ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია;</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	
	სტილი	<p>5 ქულა – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით. ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად გამართულია. თითქმის არ არის გრამატიკული შეცდომები. გაფორმების წესი დაცულია.</p> <p>4-3 – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით. ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად თითქმის სრულად გამართულია. შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომები. გაფორმების წესი ნაწილობრივ დაცულია.</p> <p>2-1 – ნაშრომი არ არის შესრულებული აკადემიური წერის პრინციპების დაცვით. სტრუქტურა და სტილი გაუმართავია. შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომების სიჭარბე. გაფორმების წესი არ არის დაცული.</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	5 ქულა
ჟიურის მიერ დისერტაციის დაცვის შეფასების რუბრიკა			
	კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	კომპონენტის წონა საბოლოო შეფასებაში

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>თემატიკა და საკვლევო პრობლემის განსაზღვრა</p>	<p>15-13 ქულა – ნაშრომის თემატიკა მეტად მნიშვნელოვან თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისა და განვითარებისათვის. დასმულია მეტად ორიგინალური და აქტუალური საკვლევო პრობლემა. კვლევის მიზანი მკაფიო არის ჩამოყალიბებული, საკვლევო კითხვა, ჰიპოთეზა და შესაბამისი არგუმენტი სიახლეს წარმოადგენს დარგში და ნათლად არის ჩამოყალიბებული; საკვლევო ობიექტები დაკონკრეტებულია, ნათლად იკვეთება ცვლადები, რომელთა კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია სრულყოფილადაა შესრულებული.</p> <p>12-10 – ნაშრომის თემატიკა დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება. საკვლევო პრობლემაც ორიგინალური და აქტუალურია. კვლევის მიზანი ჩამოყალიბებულია. საკვლევ კითხვას და ჰიპოთეზას და შესაბამის არგუმენტს აქვს დარგში სიახლის მაღალი პოტენციალი და არის ნათლად ჩამოყალიბებული, თუმცა შეიმჩნევა მცირეოდენი ხარვეზები. საკვლევო ობიექტი დაკონკრეტებულია. ცვლადები არ არის სრულყოფილად გამოკვეთილი და კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია არ არის ნათელი;</p> <p>9-7– ნაშრომის თემატიკა მეტწილად დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხება, მაგრამ საკვლევო პრობლემა არ არის ორიგინალური ან აქტუალური, კვლევის მიზანი, კითხვა, ჰიპოთეზა და არგუმენტი ბუნდოვანია და დარგში სიახლის ნაკლები პოტენციალი გააჩნია; საკვლევო ობიექტები დაკონკრეტებული არ არის. ცვლადები ნათლად არ იკვეთება, რომელთა კონცეპტუალიზაციისა და/ან ოპერაციონალიზაციის მცდელობა არასრულია.</p> <p>6-4 – ნაშრომის თემატიკა მეტწილად დარგის მნიშვნელოვან პრობლემატიკას ნაკლებად ეხება, საკვლევო პრობლემა არ არის ორიგინალური ან აქტუალური, კვლევის</p>	<p>15 ქულა</p>
--	--	---	----------------

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>მიზანი, კითხვა, ჰიპოთეზა და არგუმენტი ბუნდოვანია და დარგში სიახლის ნაკლები პოტენციალი გააჩნია; საკვლევო ობიექტები ბუნდოვანია. ცვლადები ნათლად არ იკვეთება, რომელთა კონცეპტუალიზაციისა და/ან ოპერაციონალიზაციის მცდელობა არასრულია.</p> <p>3-1 – ნაშრომის თემატიკა დარგის გააზრებულ და ნაკვლევ საკითხებს არ ეხება, კვლევის მიზანი, კითხვა და ჰიპოთეზა ნაშრომში არ იკვეთება, ცვლადები არ ჩანს და საკვლევო ობიექტებიც არ არის დაკონკრეტებული.</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>ლიტერატურის მიმოხილვა</p>	<p>15-14 ქულა – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო აკადემიური ლიტერატურა, ავტორი სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს თემის შესახებ და კრიტიკულად ანალიზებს გამოყენებულ მასალებს, ნათლად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში;</p> <p>13-12 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო ლიტერატურა, ავტორი თითქმის სრულად ფლობს აკადემიურ დებატებს თემის შესახებ და გამოირჩევა კრიტიკული ანალიზით, ნათლად არის ნაჩვენები ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში;</p> <p>12-11 – ნაშრომში გამოყენებულია როგორც აკადემიური, ისე სხვა სახის ლიტერატურა, რაც ლიტერატურის მიმოხილვისთვის ნაკლებად რელევანტურია, ავტორი ავლენს აკადემიური დებატების კარგ ცოდნას, კრიტიკული ანალიზი დასახვეწია, ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში არ არის ჯეროვანი.</p> <p>10-9 – ნაშრომში გამოყენებულია აკადემიური ლიტერატურა, მაგრამ ამავდროულად მოცემულია არაკადემიური ტექსტები, რაც ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნას სუსტად ავლენს, კრიტიკული ანალიზის დროს გვხვდება ხარვეზები,</p>	<p>15 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>ნაშრომის თეორიული წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში არ არის ნათელი;</p> <p>8-7 – ნაშრომი დიდწილად არააკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, თუმცა გვხვდება აკადემიური ტექსტებიც, აკადემიური დებატების ცოდნა არ ვლინდება ავტორის მიერ, ლიტერატურა უბრალოდ შეჯამებულია და არ გვხვდება კრიტიკული ანალიზი, ნაშრომში არ გვხვდება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში თეორიული კონტრიბუციის მიმოხილვა;</p> <p>6-5 – ნაშრომი მთლიანად არააკადემიურ ლიტერატურას ეფუძნება, რაც ვერ ავლენს ავტორის მიერ აკადემიური დებატების ცოდნის ხარისხს, კრიტიკული ანალიზი არ ისახება. ნაშრომში არ არის მოცემული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში თეორიული წვლილის მიმოხილვა;</p> <p>4-3 – ნაშრომში გამოყენებულია ნაკლებად სანდო ლიტერატურა, ავტორი ვერ ავლენს აკადემიური დებატების ცოდნას, ნაშრომი მხოლოდ მასალების შეჯამებას წარმოადგენს. არ აღინიშნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში თეორიული წვლილი.</p> <p>2-1 – ნაშრომში გამოყენებულია არასანდო ლიტერატურა, ავტორი ვერ ავლენს აკადემიური დებატების ცოდნას. ნაშრომი მხოლოდ მასალების შეჯამებას წარმოადგენს. არ აღინიშნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში თეორიული წვლილი.</p> <p>0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>კვლევის მეთოდოლოგია</p>	<p>20-18 ქულა - ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური და შესატყვისი კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან. ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, განხილულია ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ავტორს გათავისებული აქვს</p>	<p>20 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კვლევის მეთოდოლოგია. ავტორს ნაწარმოები აქვს თავისთავადი კვლევა.</p> <p>17-15 – ნაშრომში გამოყენებულია ოპტიმალური კვლევის მეთოდები, რომელიც გამომდინარეობს ნაშრომის მიზნიდან. ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა სრულად არ არის განხილული ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. ავტორს გათავისებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია. ავტორს მეტწილად ნაწარმოები აქვს თავისთავადი კვლევა.</p> <p>14-12 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორს სრულად ესმის გამოყენებული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს ნაწილობრივ აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია. ამასთან, ავტორს ნაწილობრივ აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p> <p>11-9 – ნაშრომში გამოყენებულია სათანადო, თუმცა არა ოპტიმალური კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს ნაწილობრივ აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია. ამასთან, ავტორს ნაწილობრივ აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p> <p>8-6 – ნაშრომში გამოყენებულია არასათანადო კვლევის მეთოდები, ავტორი არ ავლენს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნას, ალტერნატიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა არ არის განხილული. ავტორს სუსტად აქვს გათავისებული კვლევის მეთოდოლოგია და სუსტად აქვს ნაწარმოები თავისთავადი კვლევა.</p>	
--	---	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>5-3 – ნაშრომში არ იკვეთება მონაცემთა შეგროვების რა მეთოდები გამოიყენა ავტორმა.</p> <p>2-1 – ნაშრომი თითქმის არ იყენებს კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს მონაცემთა შეგროვებისა და მათი ანალიზისთვის;</p> <p>0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>მონაცემთა ანალიზი / არგუმენტაცია</p>	<p>20-18 ქულა - მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლესა და მის წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური მიდგომის მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. ავტორი კრიტიკულად აანალიზებს წყაროებს და იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>17-15 – მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლესა და მის წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური მიდგომის მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა ხარვეზები. ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ, არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>14-12 – მონაცემების ანალიზი ნათლად და გასაგებად წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში მისი წვლილი ბუნდოვანია. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, ავტორი მცირეოდენი ხარვეზებით იყენებს ლოგიკურ,</p>	<p>20 ქულა</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>არგუმენტირებულ მსჯელობას საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.</p> <p>11-9 – მონაცემების ანალიზი არასათანადოდ წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს და საერთაშორისო ურთიერთობების დარგის განვითარებაში მისი წვილი ბუნდოვანია. მონაცემები გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს, თუმცა კრიტიკული ანალიზის დროს შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები.</p> <p>8-6 – მონაცემების ანალიზი არასათანადოდ წარმოაჩენს ნაშრომში მოცემულ სიახლეს და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში მისი წვლილი არის ნათელი. მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. თითქმის არ გვხვდება კრიტიკული, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები.</p> <p>5-3 – მონაცემების ანალიზი ვერ წარმოაჩენს სიახლეს და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე მისი კონტრიბუცია არ არის ნათელი, მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. არ არის მოცემული კრიტიკული ანალიზი, ლოგიკურ მსჯელობასა და არგუმენტირების დროს გვხვდება მნიშვნელოვანი ხარვეზები;</p> <p>2-1 – ნაშრომში არ გვხვდება სიახლე, მონაცემები არ არის გაანალიზებული იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს მეშვეობით, რომელსაც ავტორი მონაცემთა შეგროვებისთვის იყენებს. არ არის მოცემული კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირება;</p> <p>0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
--	---	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	დასკვნა	<p>5 ქულა - ავტორი ეფექტიანად და ლაკონიურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს. ნათლად წარმოაჩენს ნაშრომის ორიგინალობასა და მის წვლილს დარგის განვითარებაში;</p> <p>4-3 – ავტორი ეფექტიანად და ლაკონიურად აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს, თუმცა ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია;</p> <p>2-1 – ავტორი ეფექტიანად და ლაკონიურად ვერ აჯამებს ნაშრომში გამოთქმულ ძირითად არგუმენტებს. ნაშრომის ორიგინალობა მისი კონტრიბუცია დარგის განვითარებაში ბუნდოვანია;</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	5 ქულა
	სტილი	<p>5 ქულა – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით. ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად გამართულია. თითქმის არ არის გრამატიკული შეცდომები. გაფორმების წესი დაცულია.</p> <p>4-3 – ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პრინციპების სრული დაცვით. ტექსტი სტრუქტურულად და სტილისტურად თითქმის სრულად გამართულია. შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომები. გაფორმების წესი ნაწილობრივ დაცულია.</p> <p>2-1 – ნაშრომი არ არის შესრულებული აკადემიური წერის პრინციპების დაცვით. სტრუქტურა და სტილი გაუმართავია. შეიმჩნევა გრამატიკული შეცდომების სიჭარბე. გაფორმების წესი არ არის დაცული.</p> <p>0 - დავალება არ შესრულდა.</p>	5 ქულა
	შეკითხვებზე პასუხი	<p>15-13 ქულა – სტუდენტი ამომწურავად სცემს პასუხს ყველა დასმულ შეკითხვას და ავლენს საკითხის სრულყოფილ ცოდნას;</p> <p>12-10 – სტუდენტი ამომწურავად სცემს პასუხს დასმული შეკითხვების უმრავლესობას და ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას;</p> <p>9-6 – სტუდენტი არასრულად სცემს პასუხს დასმული შეკითხვების უმრავლესობას ან მხოლოდ შეკითხვების ნაწილს. ავლენს</p>	15 ქულა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>საკითხის დამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნას; 5-1 – სტუდენტი არასრულად სცემს პასუხს თითქმის ყველა შეკითხვას ან მხოლოდ შეკითხვების ნაწილს. ავლენს საკითხის არადამაკმაყოფილებელ დონეზე ცოდნას; 0 – დავალება არ შესრულდა.</p>	
	<p>მეტყველება და აუდიტორია სთან კონტაქტი</p>	<p>5 ქულა – დოქტორანტი საუბრობს ნათლად და გასაგებად, ავლენს თავდაჯერებულობას და ინარჩუნებს აუდიტორიასთან კონტაქტს; 4-3 – დოქტორანტი საუბრობს კონკრეტულად და არ იყენებს ბუნდოვან მტკიცებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კონტაქტს, თუმცა შეიმჩნევა თავდაჯერებულობის ნაკლებობა; 2-1 – დოქტორანტი ხშირად აკეთებს ხანგრძლივ პაუზებს, იმეორებს წინადადებებს და იშვიათად ცდილობს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას; 0 – სტუდენტმა ვერ წარმოაჩინა თავი.</p>	<p>5 ქულა</p>

დისერტაციის შეფასება საბოლოოდ ხდება შემდეგი ტერმინების გამოყენებით:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) – 91-100 ქულა, შესანიშნავი ნაშრომი
- ბ) მაღიან კარგი (*magna cum laude*) – 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
- გ) კარგი (*cum laude*) – 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
- დ) საშუალო (*bene*) – 61-70 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – 41-50 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – 40 ქულა ან ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

ზემოთ მოყვანილი ა) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. ვ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება. ხოლო ზ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს: უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ანალიტიკურ ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის, მშვიდობის და უსაფრთხოების და სხვა მომიჯნავე სფეროებში.</p> <p>საჯარო სამსახურში.</p> <p>უცხო ქვეყნების წარმომადგენლობების შესაბამის სამსახურში;</p> <p>ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge